დამტკიცებულია
შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის
2023 წლის 09/08 ბრძანება N 00008063

შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯი

პროფესიულ სტუდენტთა თვითმართველობის დებულება

მარნეული
2023

თავი 1.ზოგადი დებულება

1. შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის (შემდგომში კოლეჯი) სტუდენტური თვითმმართველობა (შემდგომში თვითმართველობა) არის პროფესიულ სტუდენტთა ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომელიც იქმნება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.
2. თვითმართველობა არის კოლეჯის სტუდენტების წარმომადგენლობითი ორგანო.
3. თვითმართველობა ირჩევა ერთი წლით და შედგება 15 წევრისაგან.
4. თვითმართველობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებს მის უფლებამოსილებას კოლეჯის შიგნით და გარეთ.
5. პროფესიულ სტუდენტთა თვითმართველობის დებულება (შემდგომში დებულება) შემუშავებულია პროფესიული სტუდენტების ჩართულობით.
6. სტუდენტური თვითმმართველობა თავის ფუნქციებს ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის, წინამდებარე დებულებისა და კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტების საფუძველზე და მისი საქმიანობა არის დამოუკიდებელი.

თავი2.სტუდენტური თვითმმართველობის მიზნები

1. პროფესიულ სტუდენტთა თვითმართველობის მიზნებია:
   1.1. სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნება;
   1.2. თავისი უფლებამოსილების ფარგლებში პროფესიული სტუდენტების/მსმენელების ინტერესების, უფლებების დაცვა ;
   1.3.კოლეჯის ფარგლებში, სხვადასხვა ეროვნების პროფესიული სტუდენტების დაახლოება და მათი კულტურის წარმოჩენა;
   1.4.სტუდენტთა პროფესიული მომზადების დონისა და შემოქმედებითი აქტიურობის განვითარება;
   1.5.სტუდენტების თვითრეალიზებისა და დამოუკიდებელი აზროვნების ჩამოყალიბების ხელშეწყობა;

თავი 3. სტუდენტური თვითმმართველობის უფლებამოსილება

1. სტუდენტური თვითმართველობა უფლებამოსილია:
   1.1.შეიმუშავოს წინადადებები კოლეჯში არსებული პრობლემების შესახებ და წარუდგინოს პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მომსახურების, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის უზრუნველყოფის მენეჯერს წერილობითი ფორმით;
   1.2. პერიოდულად მოახდინოს პროფესიული განათლების მასწავლებლების, პროგრამის განმახორციელებლების, პერსონალის მუშაობის შეფასება კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად;
   1.3.მოაწყოს შეხვედრები, დებატები, დისკუსიები, ტრენინგები, ინტელექტუალური თამაშები, საგანმანათლებლო, ლიტერატურული, სპორტული, კულტურული, გასართობი, სამეცნიერო, საქველმოქმედო და კანონით ნებადართული სხვა სახის ღონისძიებები;
   1.4. ურთიერთობები დაამყაროს და ითანამშრომლოს სხვა კოლეჯების თვითმმართვე-ლობებთან და სტუდენტურ ორგანიზაციებთან, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ;
   1.5.საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს სტუდენტების ინფორმირებულობა ყველა საჭირო ინფორმაციით.
2. სტუდენტურ თვითმმართველობას არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკურ

თავი 4. სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები

1. სტუდენტური თვითმმართველობის წევრად შეიძლება არჩეულ იქნას მხოლოდ კოლეჯის პროფესიული სტუდენტი.
2. სტუდენტური თვითმმართველობას ხელმძღვანელობს პრეზიდენტი .
3. სტუდენტური თვითმმართველობა შედგება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, 1 წლის ვადით არჩეული წევრებისაგან.
4. არჩევნები ტარდება დეკემბრის პირველ კვირაში.
5. პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მომსახურების, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის უზრუნველყოფის მენეჯერის წარდგინებით კოლეჯის დირექტორი:
   5.1.პროფესიულ სტუდენტებს განუსაზღვრავს გარკვეულ ვადას, რათა წარმოადგინონ თვითმართველობის არჩევნებში მონაწილეთა სია;
   5.2.ნიშნავს სტუდენტური თვითმართველობის არჩევნების ჩატარების თარიღს;
   5.3.ქმნის საარჩევნო კომისიას, რომელიც შედგება არა ნაკლებ 3 წევრისა, რომელთა შემადგენლობაში სხვა წევრებთან ერთად არიან პროფესიული სტუდენტებიც.
   5.4.განსაზღვრავს საარჩევნო კომისიის თავჯდომარეს;
   5.5.ნიშნავს გარკვეული რაოდენობის დამკვირვებლებს არჩევნების პროცესზე;
   5.6.განსაზღვრავს გასაჩივრების პირობებს;
   5.7.განსაზღვრავს საბოლოო თარიღს არჩევნების შედეგის გამოსაცხადებლად.
6. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის კანდიდატურის დაყენების უფლება აქვს სტუდენტური თვითმმართველობის წევრების არანაკლებ 1/5–ს.
7. თვითმართველობის არჩევნების პროცესის დასრულების მერე, პრეზიდენტობის კანდიდატი წარმოადგენს და თვითმართველობის წევრებს გააცნობს თავის სამოქმედო გეგმებს;
8. თვითმართველობის არჩევნების დასრულებიდან ერთი კვირის განმავლობაში ინიშნება პრეზიდენტის არჩევნები.
9. იმ შემთხვევაში, თუ ვერცერთი პრეზიდენტობის კანდიდატი ვერ დააგროვებს არჩევისთვის ხმათა საკმარის რაოდენობას ან თვითმართველობის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა არ გამოცხადდება არჩევნებზე, ორი კვირის ვადაში ინიშნება მეორე ტური.
10. თვითმართველობის პრეზიდენტის არჩევის მეორე ტურზე კენჭი ეყრება ორი საუკეთესო შედეგების მქონე პრეზიდენტობის კანდიდატს;
11. მეორე ტური ჩატარებულად ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობას მიიღებს თვითმართველობის წევრთა შემადგენლობის მინიმუმ 30%.
12. იმ შემთხვევაში თუ არჩევნებში მონაწილეობას ღებულობს პრეზიდენტობის ერთი კანდიდატი, მან უნდა დააგროვოს თვითმართველობის წევრთა შემადგენლობის ხმათა მინიმუმ 25%.
13. იმ შემთხვევაში, თუ არჩევნებში მონაწილე პრეზიდენტობის ერთი კანდიდატი ვერ დააგროვებს არჩევისთვის ხმათა საკმარის რაოდენობას, 5 დღის ვადაში ტარდება განმეორებითი არჩევნები.
14. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი სტუდენტური თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოა.
15. სტუდენტური თვითმმართველობის წევრის უფლებამოსილება იწყება მისი არჩევის მომენტიდან და მთავრდება ახალარჩეული წევრების პირველი შეკრებისთანავე.
16. სტუდენტური თვითმმართველობის წევრის და პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის საფუძველია:
    ა) პირადი განცხადება;
    გ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;
    დ) კოლეჯის შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსის ან სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით გათვალისწინებული წესების დარღვევა;
    ე) არასაპატიო მიზეზით სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში ზედიზედ სამი თვის განმავლობაში მონაწილეობის მიუღებლობა.

17. სტუდენტური თვითმმართველობის დაფინანსების წყაროა კოლეჯის ბიუჯეტი.

თავი 5. თვითმართველობის საერთო კრება

1. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოა.
2. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება შედგება სტუდენტურ თვითმმართველობაში არჩეული ყველა წევრისაგან;
3. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება იკრიბება ორ თვეში ერთხელ.
4. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების რიგგარეშე მოწვევა შეიძლება განხორციელდეს:
   ა) სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი საკუთარი ინიციატივით;
   ბ) სტუდენტური თვითმმართველობის წევრების არანაკლებ ¼–ის მოთხოვნით.
5. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საერთო კრების სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
6. სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების სხდომებს თავმჯდომარეობს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი.
7. თვითმმართველობის საერთო კრების ჩატარების თარიღისა და შესაბამისი დღის წესრიგის შესახებ თვითმმართველობის წევრებს ეცნობება კრების ჩატარებამდე 3-4 დღით ადრე.
8. თვითმმართველობის საერთო კრება უფლებამოსილია:
   ა) შეიმუშაოს წლის სამოქმედო გეგმა;
   ბ) განიხილოს და წარადგინოს განსახორციელებელი პროექტები;
   გ) განიხილოს თვითმართველობის დებულება და შეიტანოს ცვლილებები წევრთა სრული შემადგენლობის 2/3- ის თანხმობით.
9. თვითმმართველობის საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია კრების თავმჯდომარის ხმა.

თავი 6. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დებულება მტკიცდება კოლეჯის დირექტორის მიერ.
2. ნებისმიერი სახის ცვლილება ან დამატება წინამდებარე დებულებაში შეიძლება განხორციელდეს თვითმმართველობის საერთო კრების გადაწყვეტილებით.